

გაზეთის ფასი:

გაზეთით თვეში	ბუფაგენლოთ:
და გარეშე ადგილებში:	
ქრთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
10-ის თვისა — 6 —	— — — 5 —
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუზაგენლოთ — 3 შური.
 „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევით.

დროება

თფილისში „დროებას“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამა სტამბაში, ბალაიხის პროსპექტზედ, ძ. ზუბალოვის სახლში. —
 თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисѣ. ВЪ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. უსი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკონსტიტუციო და სალიტერატურო გაზეთი.

ჩადამსიისაზან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირველისავე ნუმრისაგან.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროებას“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუტიათ, შემოიტანონ ეს ფული.

მმართველობის განკარგულება.

ამ ნუმერში არის: მმართველობის განკარგულება: ძველისა აქეთის სახაზინო პალატისაგან. — მაკრობა ძველისა აქეთ 1865 წელს. — სოფლის სამმართველოს დაწესებაზედ თფილისის ფუბერნიკში. — ღიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის წაბანება ბორჯომს. — პოლიტიკა: ანგლია. — იტალია. — ავსტრია. — პრუსია. — ლუწის სამთავროები. — ამერიკა. — ტელეგრაფები. — სალიტერატურო ნაწილი: ისტორიული მოძრაობა განათლებისა. — სახაზინო განცხადება. — საბიბლიოგრაფიო ცნობა.

გამოკარგული ალბომი ანგარიშები. — დამ, თუ როგორ წარამართა ვაჭრობა ქაშაისის აქეთის საპარანთინო-დამოკნის მაზრებში 1865 წელს.
 1) სატარიფო ვაჭრობაზედ.
 მთელი სატარიფო ვაჭრობა ძველისა აქეთის

მხარეში 1865 წელს ავიდა 13 მილიონ. 193 ათას. 798 მანეთამდე და 84 კაპეკამდე. მსჯამი შემოტანილსა და გატანილს საქონლებს შორის ამ რიგად არის განაწილებული:
 მან. კაპ.
 შემოტანილია საქონელი. 7,348,448 — 94 ფასისა.
 გატანილია 5,845,349 — 90 —
 მთლად — 13,193,798 — 84 —
 ბარდა ამისა შემოტანილია 376,132 მან. 85 კაპ. ნაღდი ფული და გატანილია 2,897,618 მან. 70 კაპ., რომელნიც მთლად შეადგენენ 3,273,751 მან. 55 კაპ. მთელი შემოტანილის და გატანილის საქონლის ფასი 1865 წელს გადაემეტება 1864 წლისას 1,067,434 მანეთით და 27 კაპეკით, და 1863 წლისას 2,315,588 მანეთით და 77 კაპეკით.
 შთაერესი საგნები, რომელნიც 1865 წელს მოტანილან, არიან შემდგომნი:

მეროპის საქონლი:	
ბამბეული	2,207,494 მანეთისა.
შაქარი	665,577 — —
სასმელები	52,921 — —
აზიის საქონელი:	
ბამბეული	1,036,206 — —
ხილი	428,160 — —
ბამბა	385,259 — —
აბრეშუმი	349,405 — —
აბრეშუმეული	283,513 — —
თამბაქო	254,646 — —
პირუტყვი	58,563 — —
შთაერესი საგნები გატანილის საქონლისა.	
მატყელი	1,222,627 — —
ბამბა	1,066,932 — —
აბრეშუმი პარკად	967,458 — —
აბრეშუმი ძაფად	545,523 — —
მეტალლი და მეტალლე-ული	447,152 — —
პური	259,800 — —
მატყელეული	105,266 — —
ზხის და კაკლის ხე	100,926 — —

ამ საგნებთან უფრო მეტი შემოტანილია ბამბეული და შაქარი, და გატანილია მატყელი და ბამბა. ბამბეული და განსაკუთრებით ამერიკა, რომელიც უფრო იაფია, შეადგენს მიუთილებელს საქონლებს ადგილის მცხოვრებთათვის. მს საქონელი უფრო კონონიერად შემოდიოდა ამ მხარეში მას უკან, რაც 1862 წელს ბაჟი ამერიკაზედ შემცირდა, რადგანაც მალაის ბაჟის დროს კონტრაბანდით შემოტანა აუცილებელია. შაქარი მეტი შემოვიდა, ამისთვის რომ გამოიღოა ის შაქარი, რაც წინა წელში იყო შემოტანილი. ძველისა აქეთის მხარის მატყლს კარგი გასაყალი აქვს თავისი კარგის თვისების გამო. საზღვარს გარეთ, ამისთვის ახალქალაქის (ჯავახეთში) მცხოვრებლები განსაკუთრებით მატყლით ვაჭრობენ. ისინი ყიდულობენ მატყლს თრიალეთზედ და რომ ევროპიულად შეახვიონ იმათ გამოიწერეს პრესებში. ბოლოს ბამბამ, რომელმაც 1864 წელს საზღვარს გარეთ ფასი ძალიან დაიკლო, 1865 წელს ისევ მოიმატა და იმის გატანაც უფრო გავრცელ-

და. შემოტანილს საქონლებში ბამბა და აბრეშუმი უფრო ცოტა იყო, გატანილს საქონლებში კი აბრეშუმი. ბამბა სპარსეთიდან შემოდიის და რუსულ ფაბრიკებზედ იხმარება. ამ საქონლის შემოტანა 1865 წელს შემცირდა, იმისთვის, რომ იმისი ფასი დაეცა მოსკოვში, რადგანაც ამერიკის ომი გათავდა. ძველისა აქეთის მხარის მოვაჭრეებმა, რაკი ამაში ზარალი ნახეს, ბამბის ვაჭრობაზედაც ხელი აიღეს. აბრეშუმის შემოტანაც შემცირდა, რადგანაც ისიც განსაკუთრებით რუსეთის ფაბრიკებს უნდებოდა და იქიდან კი ბევრს აღარ ითხოვენ. რადგანაც ძველისა აქეთის მხარეში აბრეშუმის გატანა შემცირდა, ამისთვის აბრეშუმის საქონლის გაძვირებაც ამ შემცირებას უნდა მიეწერათ.

II ტრანზიტით გაგზავნილია: მეროპიდან სპარსეთში, 112,770. ფუთი. სპარსეთიდან მეროპაში 15,071 ფუთი.

III ბაჟის ფული დამოკნებში შემოვიდა 1863 წელს 855,780 მანეთი, 1864 წ. — 1,035,855 მან. და 1865 წ. 1,074,142 მან.

სოფლის სამმართველოს დაწესებაზედ თფილისის გუბერნიკში. მისმა იმპერატორებთმა უმაღლესობამ, ღიდმა მთავარმა, ძველისა აქეთის ნამესტნიკმა უმაღლესათ მინდობილის უფლებით დაამტკიცა წეს-დება სასოფლო საზოგადოებებზედ. იმათს საზოგადო მმართველზედ და სახელმწიფო და საზოგადო გამოსაღებზედ. დამტკიცება მოხდა 11 აპრილს 1865 წელს და ამასთანავე ბანება გამოიცა, რომ ეს წეს-დება გამოაცხადონ დადებულის რიგით თფილისის გუბერნიკში და დაწყონ სასოფლო საზოგადოებანი და სასოფლო საზოგადოების სამმართველო ამ კანონის ძალით, რომელიც დამტკიცებულს წეს-დებაშია.

ამასთანავე სკირო იყო სათანამდებო პირების ამორჩევა, სახელდობრ: სოფლის მამა-სახლისებისა, იმათის თანა-შემწეებისა და სოფლის მსაჯულებისა.

მს დიდი შრომა მიენდოთ თფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეების წევრებს: სტატისკის სოვეტნიკებს: თ. ანდრონიკაშვილს, ლოლინსკის და მამა-სოველს, კოლლეჟსკის სოვეტნიკს თ. ბურამიშვილს, კოლლეჟსკის ასსე-სორს თ. ჩოლაყაშვილს, ტიტულიარნის სოვეტნიკს თ. შავკავაძეს და თფილისის უფლის მერაგე განყოფის მიროვის პოსრედნიკს თ. ილია შავკავაძეს, ადგილობრივის უფლის და რკრუგის ნაჰალნიკების და მიროვის პოსრედნიკების თანა-შემწეობით.

მს ძნელი შრომა გაათავეს სრულის წარმატებით წარსულის წლის გასულს და ამისი ნაყოფი იყო სასოფლო საზოგადოების დაწესება შემდეგის განყოფით და სათანამდებო პირების რიგებით.

თფილისის უფლებში ლორის და თრიალეთის საპრისტავოებით:
 სოფლის საზოგადოება 99.
 სოფლის მამა-სახლისი 99.
 იმათი თანა-შემწეები 258.
 სოფლის მსაჯული 324.
 ბორის უფლებში:
 სოფლის საზოგადოება 140.

სოფლის მამა-სახლისი	140.
იმათი თანა-შემწეები	178.
სოფლი-მსაჯული	488.
სოფლის უფლებში:	
სოფლის საზოგადოება	28.
სოფლის მამა-სახლისი	28.
იმათი თანა-შემწეები	28.
სოფლის მსაჯული	104.
თფილისის უფლებში:	
სოფლის საზოგადოება	32.
სოფლის მამა-სახლისი	32.
იმათი თანა-შემწეები	24.
სოფლის მსაჯული	120.
მლინავეტოპოლის უფლებში:	
სოფლის საზოგადოება	82.
სოფლის მამა-სახლისი	82.
იმათი თანა-შემწეები	95.
სოფლის მსაჯული	246.
მთის მარაში:	
სოფლის საზოგადოება	11.
სოფლის მამა-სახლისი	11.
იმათი თანა-შემწეები	21.
სოფლის მსაჯული	33.
თიანეთის მარაში:	
სოფლის საზოგადოება	21.
სოფლის მამა-სახლისი	21.
იმათი თანა-შემწეები	41.
სოფლის მსაჯული	87. (*)
შირაქის უმთავრესი საპრისტავოში:	
სოფლის საზოგადოება	4.
სოფლის მამა-სახლისი	4.
იმათი თანა-შემწეები	9.
სოფლის მსაჯული	13.

მთლათ სოფლის სამმართველო არის 417; იმათში ამორჩეულია: სოფლის მამა-სახლისი 417, იმათი თანა-შემწეები 652 და სოფლის მსაჯული 1415.

ამ საქმის წარმატებით, რომელიც მომავალში ღიდის სარგებლობის იმედს აძლევს, მმართველობა დაეუბნებოდა იმ პირების მეცადინეობით და კეთილ-სენიდიანიანობით, რომლებსაც ის ჰქონდა მინდობილი.

მისი იმპერატორებითი უმაღლესობა ხელმწიფე ღიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე 10-ს მისს დაბრუნდა თფილისს მრეწვის გუბერნიიდან, და 19 მისს დილით მეექვსე საათის ნახევარზედ მათნი უმაღლესობანი ღიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და ღიდი მთავრინა ოლგა თეოდორეს ასული წაბანდნენ ბორჯომს, ზაფხულში საცხოვრებლად. 20-ს დილით 8 საათზედ წაბანდნენ ბორჯომისკენე მათის უმაღლესობის შეგუსტესი შეიღებო ღიდი მთავარი ნიკოლოზ, მიხეილ, მიორგი და ალექსანდრე მიხეილის ძენი და ღიდი მთავრინა ანასტასია მიხეილის ასული.

პოლიტიკა.
 ანგლია. 29 აპრილამდე (11 მაისამდე) ანგლიაში მოხდა 6 დიდი კოტრობა, იმათ რიცხვშია საბანკორო სახლი მერენდისა და
 (*) თიანეთის მარის მთა-ადგილს სოფლის საზოგადოება ვერ დაწესდა, რადგანაც ზამთარში გზა შეიკრა. ისინი დაწესდებიან აწინდელის წლის ზაფხულში.



გერმანია. შუილი, რომელსაც ისინი ატრია-
ლებდნენ, 21 მილიონ სტერლინგად აღის
(გირვანქა სტერლინგი — 6 მანეთზედ მეტია).
ამ დიდს კოტრობის გარდა, ბევრი მცირე
კოტრობაც მოხდა, რომელთაც ძალიან შეერ-
ყია საეკონომიკო და საბანკო საქმეები.

— ლონდონი, 30 აპრილს (12 მა-
ის). ლონდონის სიტი ამ მოკლეს დროში გა-
საოკარს კრიზისში არის (გაქირვებაში). იმი-
სი შექირვებული მდგომარეობა მკერდის და
გერმანის საბანკო საქმის შეუძლებლობის
ბრალია. ეს ერთი უძველესთაგანი და ძალიან
მდიდარი საბანკო საქმის დაფუძნდა ამ სა-
უკუნის დასაწყისში და შეიქმნა ახლანდელის
საფინანსო კრიზისის მსხვერპლად. 12 მილი-
ონ გირვანქა სტერლინგის პასივიტით. რადგან
სახლს დიდი მნიშვნელობა აქვს და საკვირ-
ვლათაც გავრცელებულია იმისი ვაჭრობის
საქმე, ამისთვის ძალიან შეზობდნენ, რომ თუ
ენიცობა ამ ხალხს გაუჭირდა რამე, სხვა სა-
კრედიტო საზოგადოებანიც გაქირვებულს
მდგომარეობაში ჩაცვიფდებიან. ამისთვისაც
მმართველობამ იმავე წამს მიიღო თავის
თავზედ მოვალეობა, რომ გამოეკვლივა თუ
რა რიგს მდგომარეობაში არის ანგლის ბან-
კის საქმეები.

იტალია. მკოლონ ტერგების კორპუ-
სი იტალიაში. აი შლორენციდამ რას
იწყებინა 10 მაისიდან. შამოიცი დეკრეტი,
რომლითაც ეკონომიკური კორპუსი შე-
სდგება; ღენერალი ბარბალდი ამ კორპუსის
სარდლათ არის დანიშნული. დეკრეტის და-
დებულებანი წინათვე იმისი თანხმობით და-
აწესეს; ეკონომიკურებს ეცმევათ წითელი პე-
რანგები.

კორპუსში ჯერ-ჯერობით 20 ათასი კაცია
დანიშნული, იმათთან 250 კაცი კალონების
მოწინავე კაცებთან არიან დანიშნულნი, ორის
ბატარით. სამხედრო ბარგის დასაწყობი
ალაგი ამოხსნა და შოჯოშია არჩეული.
როგორც სხანს, იმათ პლანი აქეთ ერთს
დროს დაეცნენ ტიროლსა და ლაშაიციის
ნაპირებს. ღებუტატი ბერტანი, რომელმაც
სიცილიის ექსპედიციის დროს (ლაშქრობის
დროს) თავი ისახელა, უფროს დოქტორათ
იქნება კორპუსში. ამ დღეებში უ. ტრევი,
კაროლის ორდინარეტი, რომელიც კაროლს
მიქტორ-მშენებელს და ბარბალდის შუა იყო
ნადავ შუამავალად, წაივინა პარერაში ცალ-
კე ხომალდით, რომელიც სულ იმას აქვს მი-
ნდობილი. უ. ტრევის უნდა ბარბალდის
გადასცეს დეკრეტი და მოიწვიოს იტალიაში.

— აშობდნენ, ვითომც ბარბალდი ილუ-
მალ მივიდა ნიციის ქალაქში და იმისი
იქ ყოფნა ფრანკოზის პოლიციამ შეიტყო
მხოლოდ იმ დღეს, როდესაც ის ქალაქიდან
გამოვიდა. ბარბალდი ნახა ნიციში თავი-
სი ავთ-მყოფი მშა და გააფრეცა პროკლა-
მატიები, რომლითაც ის მოიწვევს ყმაწვილ-
კაცობას აღსატურველათ. ისინი, ვითომც იტა-
ლიის გმირის მოწოდებამ საკვირველათ შეს-
ძრა იქაური მცხოვრებლები.

— ნეპოლიდამ 5 მაისს იწყებინა: ბუშინ
პრინცი ჰუმბერტი (იტალიის ტახტის მემკვი-
დრე) ნეპოლიდამ გავიდა; მოხდა დიდ-მშვე-
ნიერი სახალხო ოცეცია; რომელიც ეკუთვ-
ნოდა იმას, როგორც პირველის კორპუსის პირ-
ველის დივიზიის სარდალს. იმანჩაიარა კალასკით
ტოლედის და შოჩიტის ქუჩაზედ, თან-ახლდა
სახალხო გვარდის ცხენოსნები და უკან მი-
სდევდა ურიცხვი ეკიპაჟები. სახლები სხვა და
სხვა ფერის ფლაგებით იყო შემკული. ბალ-
კონებიდამ ყვავილები წვიმასავით სცვიოდა.
შანსაკუთრებით ისმოდა ძახილი: ვივატ (გაუ-
მარჯვას) ბრძოლას! ვივატ ბარბალდის!

ხალხში ერთა რამოდენიმე წითელ-პერანგი-
ანი (*) ბარბალდის ავიცილები. ისინი დიდისად

ტაცებით მიიღეს. მუხის ბიჭები მღეროდნენ
ამ ხალხში გავრცელებულს სიმღერას: Camicia
rossa, camicia santa!

წითელი პერანგო,
წმინდა პერანგო!
მუხიკის ორკესტრი უკრავდა და ჰერში
ყოველგან ისმოდა წმინდა ღმირი:
„მაინსება სამარე! აღსდგებიან მკედრები!
აღსდგენ ყველა ჩვენი მოწამენი! ისინი აღ-
სდგენ მკედრებით, ხელში უპყრიათ ხრმალი,
თმაში აქეთ შეწნული დაფნი, იმაზედ აღის
ალი და გულზედ აქეთ დაწერილი იტალიის
სახელი. წაიღეთ, წაიღეთ, აღსდგეთ ჭაბუ-
კო მებრძოლნი! წარსდგეთ წინ, გაიშალე-
ნით დროშანი! წარსდგეთ წინ, ცეცხლით,
მახვილით და ყოველ გვარის საქურვლით. აღ-
სდგეთ ყველანი და გქონდეთ გულში იტა-
ლიის ს-ხელი, და შენ, უცხო ქვეყნელო, გაგ-
ვეცალე!“

ანგლის ანგლის გაზეთში Times სწე-
რენ: საქმის მდგომარეობა თან-და-თან ცხად-
დება ბერმანიაში და როგორც სხანს აეს-
ტრიას შეუძლიან იმედი ჰქონდეს ცხრა ბერ-
მანის სახელმწიფოებზედ, რომელთაც გაგ-
ზანეს თავიანთი წარმომადგენლები აუფ-
სტურგის კონფერენციაში. მაგრამ შენა თით-
ქო ბანკად გადიქა. ყოველგან სხანს მხო-
ლოდ ერთი მუხდრები და მიმავალი პოლ-
კები, რომელიც იმპერიის სამხრეთის პრო-
ვინციებიდამ ჩრდილოეთისაკენ მიიშარებინა,
და ჩრდილოეთიდან იტალიაში. ჯერ არ მომ-
ხდარა, რომ აესტრია ასე ერცლად შეიარა-
ღებულ-იყოს. ამ გვარი საომრ-დ მომზადება
არც 1859 წ. ყოფილა, როდესაც აესტრია
ებრძოდა იტალიას და შრანციას. აესტრიის
პროვინციაში ტიროლში მთავრობამ განიზ-
რახა, რომ ქულზედ კაცი გამოიყვანონ, თუ
ენიცობა იტალიის ეკონომიკური კორ-
პუსი შემოესია ამ მხარეს. ამასთანავე სა-
ომსერავიცია (მცველი) კორპუსა, რომელიც
საქსონის საზღვარზედ დგას, ახალის ჯარის
მომატებით დღით-დღე ძლიერდება.

— მენეციდამ გეცნობდნენ, 8 მაისიდან,
რომ ქალაქი დიხშო. ხორვატის ჯარი შევი-
და ქალაქში. 20 ათასი ხორვატის ჯარი ღალ-
მაში შეიკრიბა. საზღვრების პოლკები პო-
ლაში შემოკრა. შოუმეში 20 ათასი აესტრი-
ის ჯარი დადგა.

პრუსიის პრუსიის ომ რ ა ნ ბ ი ს
გამო. ძელნის გაზეთი გვიამბობს, 14 მა-
სიდან, ვითომც ძელნში მიხდა ხალხის ყრი-
ლობა, რომელსაც შედგენდა 2—3 ათასი
კაცი, და ვითომც ამ ყრილობამ დასდვა შემ-
დგვი რეზოლუცია: „ყველა პარტიების მო-
ქალაქენი, შეკრებილნი ძელნში, გამოაცხა-
დებენ: რადგანაც ჩვენი მხარე საბაგელს მდგო-
მარეობაშია, რადგანაც შემპარწუნებელი მო-
მავალი სავსეა მუქარით, და რადგანაც შესა-
ძლებელია, რომ ომიანობამ მოჰგლიჯოს ბე-
რმანის მამულს ჩვენის პირის ქვეყნები, ამ-
ისთვისაც ჩვენ მტკიცეთ ვეწინააღმდეგებით
შეგნით ბერმანის ომსა, რომელიც, როგორც
საქმის მდგომარეობით ვხედავთ, მხოლოდ
მაშინ შეიძლება ჩაიშალოს, როდესაც მარ-
თებლობის წესი პრუსიაში შეიცვლება“

აქ უნდა დაეუმატოთ, რომ ყრილობაში,
როდესაც კი რომელიმე ორატორი უჩვენებ-
და საჭიროებას მთელის ნ-ციის შეერთები-
სას, ბერმანის სიმრთელის დასაცველათ
შრანციის განზრახულების წინააღმდეგ რე-
ინზედ, მაშინ ამ სიტყვებს შეუდგებოდა ძრი-
ვლი და ხანგრძლივი ტაშის ცერა.

— აღმორჩეულბს კრებამ მუშების საზოგა-
დობისამ ბერლინში, სადაც ორი ათასი კა-
ცი შეიკრიბა, ერთის ხმით დასდო, რომ აწ-
აღმორჩეულბამ დებუტატებმა დაიცვან კონ-
სტიტუციური სიმართლე ქვეყნისა ამისთანა-
დროს, როდესაც ომის შიშია, და რომ, ვიდრე
შინაური განხეთქილება არ მოისპობა, იმ-
ათ არაფერი არ დაუთმონ მმართველობას!

— ბლინდმა რომ უ. ბისმარ-
კის მოკვლა განიზრახა, იმაზედ
სამსჯალო ბერლინის გაზეთში სწერენ: „რო-
დესაც ფორტაში შეიტყვეს, რომ ბლინდს
ბისმარკის მოკვლა განუზრახავს, ერთმა სამსა-
ხურის კაცმა მოიგონა, რომ იმ დღეს ფორტა-
ში მოეტანათ წიგნი, რომელიც უნდა გაგზა-
ენილიყო ლონდონს ძარღ ბლინდის სახე-
ლზედ. ამაზედ სამსჯალო მთავრობას აცნო-
ბეს და იმავე წამს უბანა იმან ტელეგრაფით აც-
ნობდნენ, რომ წიგნი შეაჩერდნენ. ის წიგნი გამოდგა
ძლიერ გველი და შიგ ყველა ყმაწვილი-კაცის
ქონგის ბლინდის ანდერძი. ეს ყმაწვილი-
კაცი აცნობებს თავისს მამინაცვალს, რომ
მე დაულოდებლად განვიზრახე ბისმარკის მო-
კვლა, რომელსაც მე ბერმანის თავისუფლე-
ბის უმთავრესს მტრათ ვრაცხვებ. შემდეგ ამი-
სა ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ ბისმარკის
მოკვლა მიუცილებლად საჭიროა ბერმანის
შეერთებისათვის, ამისთვის რომ ის შეაშინებს
ბერმანის ხელმწიფეებს და ექნება იმაზედ
იმ გვარი გავლენა, როგორც მუსინის გან-
ზრახვას ჰქონდა ნაპოლეონ III-ზედ, რომელ-
მაც ამ შეთქმულობისა გამო დააწყვიტა, გან-
თავისუფლოს იტალია და მოეხმაროს იმის
შეერთებას. ბლინდი ამტკიცებს, რომ ჩემთვის
ეს განზრახვა არავის არ ჩაუგონებიაო და არც
არაინ მყავსო ამაში თანამოზიარე. მე ვიცი,
რომ თავს ისწირავ, მაგრამ ყოველისთვისაც
მშათ ვარ; შემდეგ ამბობს, რომ იმას ფული
ბილეთებით აქვს და კიდევ უჩვენებს, თუ
სად უნდა მოსდებონ. ყოველს თავის ქონე-
ბას ის თავის დას უტოვებს. ეს გველი წიგნი
თავიდან ბოლომდის სრულის გულ-დამშვი-
დებით არის დაწერილი.

ბერმანია. 29 აპრილს (11 მაისს). ბერმა-
ნის კავშირის წევრების ურთიერთი უკმაყო-
ვლება ხალხშია გადადის. სამხრეთის გერმა-
ნიელებიც ყოველს შემთხვევაში თავიანთს
სიძულილს უჩვენებენ ხოლმე პრუსიელებს.

37 აპრილს, (9 მაისს). შრანკფურტში ძა-
ლიან ფიცხათ შეიტაკნენ მოქალაქეები და
პრუსიის სალდათები. მართა მუშამ საღამოს
ცხრა საათზედ, გაიარა თუარა დაუბტახტის
წინ, დიდს შეურაცხებით განკიცა პრუსიის-
ის პირველი მინისტრი გრაფი ბასმარკი. იქ
რომ ყარაულათ სალდათები იდგნენ, იმათ
უნდოდათ დაეჭირათ ეს მუშა; მაგრამ იმის
გამოსახნვლად სხვა მუშებიც მოცივდნენ
და იმათ კიდევ რამოდენიმე აესტრიის და
ბავარიის სალდათებიც მიეხმარნენ. მისთ წა-
შში შემოერტყნენ საყარაულო ხალხს და
თუმცა ორმოც და ათი კაცი პრუსიის პატ-
რულისა თავის ახნაგებს მიეშველნენ, მაგ-
რამ ჩხუბი ერთი საათი მეთი გაგძელდა და
მხოლოდ მაშინ დაზანდნენ, როდესაც ბავა-
რიის სალდათების კარგი ძალი რაზმი მო-
ვიდა. მქესი კაცი დაიჭრა და იმათს რიც-
ხეში ერთი პრუსიის სალდათი. მეორე დღეს
ბავარიის და აესტრიის სალდათებს უნდოდათ
იერიშით აეღოთ პრუსიის კაზარმა, მაგრამ
აფიცრების მაგრათ მოქცევამ საქმე იქამდის
არ მიიყვანა. მინციის ქალაქშიაც კარგათ
მეიტაკნენ აესტრიის და პრუსიის სალდათე-
ბი. საკვირველია, რომ ყველა ქალაქებში, სა-
დაც კი ერთათ დგანან აესტრიის და პრუსიის
ის გარნიზონები, ყველგან ხალხს აესტრიის
სალდათების მხარე უჭირავს.

— საქსონის რეზოლუცია საფედარიცო სე-
იმში რომ შეიტანეს 9 მაისს და მიიღეს 10
ხმის უმრავლესობით 5 წინააღმდეგ. ამს აც-
ხადებს: „მაღალმა საფედარიცო სეიმმა ინე-
ბობს და მოუწოდებს პრუსიის საკაროლო
მმართველობა, რომ იმან თანახმად ახლან-
დელის გარემოებისა სრულად დაამვიდოს
მავშირი დეკლარაციათა, რომელიც უნდა
ეთანხმებოდეს საფედარიცო აქტის მეთერ-
თმეტე მუხლს.“

საფედარიცო აქტის მეთერთმეტე მუხლის

ძალით სეიმმა გადაწყვიტა, რომ პრუსიისა და
მოცხადოს: 1) დასდებს თუ არა ის პირობას,
რომ ძალით არ დააბოლოვებს განხეთქილე-
ბას ერთთან ან რამოდენიმე მავშირის წევრ-
თან; 2) დასდებს თუ არა პირობას, რომ ის
ამ განხეთქილების განხილვას სეიმს მიან-
დობს; 3) თანახმა გახდება თუ არა, რომ კა-
მისიის შუამდგომლობით სეიმმა მოახდინოს
მორიგება მათ შორის; 4) გახდება თუ არა
თანახმა იურიდიკულს გადაწყვეტილებებზედ,
რომელსაც დასდებს თვით სეიმი, თუ ამას სა-
ჭიროება მოითხოვს.

ღუნაის სამთავრობანი. ბუხარესტი-
დამ ერთს კორრესპონდენციაში აღწერილია,
თუ რა რიგის სინარულით მიუღიათ სამთავრო-
ებში სხვა და სხვა ადგილს იტალიის ელჩი
მისკონტი-მენოსტა, როდესაც ის მიმავლა
მოსტანტინოპოლს. ძალაქებში ბრაილოვში,
შურჟევოში და ბალაცში მუნიციპალიტეტებში
(ქალაქის სამმართველოში) მიართვეს იმას ადრე-
სები, რომელშიაც იტალიას დიდს თანა-გარძნო-
ბას უცხადებენ. უ. მისკონტი-მენოსტამ იტა-
ლიის სახელით იმათ მაღლობა განუცხადა.

— ბუხარესტი, 11 მაისიდან. შმთავრესმა მო-
ადგილე მმართველობამ დღეს დებუტატთ ბა-
ლატა გახსნა. იმისი ებისტოლლე უჩვენებს მი-
უცილებელს საჭიროებას სამთავროების ერ-
თობისას. მისტოლეს აზრით უცხო ქვეყნის
პრინცი ადვილათ შეაყენებს უსაფუძვლო
წაღღს და უგუნურს იმედს. ახლა ამ მხა-
რის სეე დებუტატების ხელშია, მანამდის ლო-
დენცოლერნის პრინცი არ დაიჭერს ტახტს
და კონფერენცია არ წარმოსტყვამს თავისს
უკანასკნელს სიტყვას. პალატას ეკუთვნის ის
უფლება, რომ ერთხელ კიდევ გამოაცხადოს
ხალხის ნება.

— ბუხარესტი დამ, 6 მაისს. რუმინის ოფი-
ციალურმა გაზეთმა „მონიტორუმმა“ დაბეჭ-
და დებუა უ. ბალაცეანოსი, რომელიც არ-
ის აგრეტი რუმინის მმართველობისა პარიე-
ში. ამ დებუთით ის აცხადებს, რომ პრინცმა
ძარღმა ლოდენცოლერნისამ ოფიციალურათ
გამოაცხადა პარიეში, რომ ის კისრულობს
თავის თავზედ მთავრობას, რომელიც რუ-
მინის ხალხს იმისთვის მიუნდვია.

ამერიკა. მ ა შ ი ნ გ ტ ო ნ ი ს კ ო ნ გ
რესის წინადადება, თუ როგორ
უნდა შევიდნენ სამხრეთის
შტატები კონგრესში. 28 აპრილიდან
გეცნობდნენ, რომ მაშინგტონის სენატი ხელ-
ახლა შეუდგა თავის განჩენს ქოლორადოს
შესახებ და 14 ხმის უმეტესობით 13-ზედ
დააწესა, რომ რადგანაც ქოლორადოს ტერი-
ტორია იმცხოვრებლების რიცხვს შეიცავს, რო-
მელიც კანონით დადებულია, ამისთვის შეიძ-
ლებდა ეხლა შტატათ შეირიცხოსო. შუაღამა სომ-
ნერმა მოითხოვა, რომ საკუთარის ბილოის მუ-
ხლით, ნეგრებს მიენიქოს ხმის მიცემის უფლე-
ბა, მაგრამ ეს წინადადება არ მიიღეს. რადგანაც
პრეზიდენტი ჯონსონი განსაკუთრებით ების-
ტოლეში მოითხოვდა, რომ ქოლორადოს შტა-
ტად შეირცხვა დაბრკოლებას აღარ მიეცეს
ამისთვისაც ეჭვი არ არის, რომ ის დაამტკიცებს
კონგრესისაგან მიღებულს სჯულს. ამის შე-
მდეგ კავშირი იქნება შემდგარი 37 შტატო-
საგან და შეერთებულის შტატების დროშა
მიემატება ახლა ვარსკვლავი.

კომიტეტი, რომელსაც სგნათ აქვს კავ-
შირის დამყარება, განაგრძობს თავის ძენლ
საქმეს. გაზეთის Express-ის სიტყვით
კომიტეტმა პალატებს მისცა შემდეგი წინა-
დადება:

სამხრეთის შტატებს ნება უნდა მიეცეს
რომ თავისი ძველი ადგილი დაიჭირო-
ნ და დებუტატები გაგზანონ ხოლმე კონგრეს-
ში, ქვემოხსენებულის პირობებით: 1) კონ-
სტიტუცია უნდა შეიცვალოს იმ სახით, რომ
არაფერი განსხვავება აღარ იყოს დღეს შემ-
დეგ სხვა და სხვა ტომების მოქალაქეებს შო-
რის, არც სჯულში, არც კონსტიტუციაში, რომ

(*) ბარბალდის ეკონომიკურებს გარეთ ტანსაცმელის
მაგიერ წითელი პერანგი აცვიათ.

წათ; იმათა მომხრეებმა შეადგინეს განსაკუთრებით პარტია, ანუ უწყება, არისტოკრატია...

III.

რომელიც ბერძენებს თითქმის არ ემსგავსებოდნენ. თუმცა ორივე ხალხი ძველადვე ერთს ფესვიდან იყვნენ აღმოცენილნი...

შფობის გავრცელება და ხალხის გაცრეცნა—აი რა იყო ყოველთვის რომელიც მოქმედებდა. მიზეზიც ამაში მდგომარეობდა...

დაფარა თავისი ნაცრით, მრავალი საუკუნე მიწაში იყო დაფლული. ღიდი ხანი არ არის...

ამ გვარს მდგომარეობაში იყო რომის ლიტერატურა. ლიტერატურა აქ აღყვავდა იმპერატორის ადგილის მეფობაში...

შოველივე ყურადღება რომაელების მიქცეული იყო სამხედრო ხელოვნებაზე, რომელსაც მართლად დიდი წარმატება მიეცა...

კოლის შერთვისა, თუ არ მეტატონის ნებართვით; იმას არც საჩივარი შეეძლო, არც მოწმობის მიცემა...

თითქმის არცკია საჭირო, რომ აქ რომის წინგობა მოვიხსენიოთ: ეს ცხადია სწავს იქილამ, რაც წევით ითქვა...

აი ის მდგომარეობა, რომელსაც რომში ვაშულობით იმპერატორების დროს. პეტროლიზობილი პირნი, რომელნიც ძალიან ცოტანი იყვნენ...

მონავებულს პროვინციის მალესტონში, იშვა მცხოვარი—ძრისტე რამელმა...

რისაც ღირსი იყო რომი, იგივე მიენიჭა იმას. რომი დაამხო იმისა მძინვარებაში...

სახაზიწმ. განცხადებაჲნი. (Заквказскій Вѣстникъ, 1866 г. № 20.)

- 1) სამხედრო ოკრუგის საინტენდანტო სამმართველო გამოაცხადებს, რომ 1867 წლისთვის საჭიროა 802 საყენი შუა.
2) შუბის დასადგმელ ტორგი არის დანიშნული ამივე სამართველოში 30 მაისს.
3) შილოის გუბერნიის მმართველობამ დანიშნა გაყიდვა მოძაქის მამულისა, რომელიც ეკუთვნის შილოის მოქალაქეს მორგო შრიდონოვს...

საბიბლიოგრაფიო ცნობა.

22 მაისს გამოვიდა და დაერიგება ხელისმომწერლებს პირველი და მეორე ნუმრები სომხურის ჟურნალისა „სომხის ქვეყანა“ (Հայկական Աշխարհ) მარტის და აპრილის თვეებისა...